



23 დეკემბერი 2024



N 21/13014

შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველოს“

ელ. ფოსტა: alomidze@borjomi.com

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენი №11158 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყვიზისში ბორჯომის №2 საჩამომსხმელო ქარხნის ტერიტორიაზე ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციას და გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში სრულად არ არის გათვალისწინებული სააგენტოს 2024 წლის 8 ოქტომბრის №21/10441 წერილში მითითებული საკითხები:

- შენიშვნებზე რეაგირების ცხრილში (დანართი №4) მითითებულია, რომ ტექნიკური ჩამდინარე წყლების ნავთობპროდუქტებით დაბინძურების წყარო ობიექტზე არ ფიქსირდება. თუმცა, სკრინინგის განცხადების 37-ე გვერდზე ასევე, №3 დანართში წარმოდგენილ გამწმენდ ნაგებობაში შემავალი წყლის ანალიზის შედეგებში მოცემულია ჯამური ნახშირწყალბადების კონცენტრაციები (ნავთობპროდუქტები). შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ ტექნიკური ჩამდინარე წყლების ნავთობპროდუქტებით დაბინძურების წყარო ობიექტზე არ ფიქსირდება, დაზუსტებას საჭიროებს საიდან ხვდება გამწმენდ ნაგებობაში შესულ სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და ტექნიკური ჩამდინარე წყლებში ჯამური ნახშირწყალბადები;
- დოკუმენტში კვლავ დასაზუსტებელია ობიექტზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების რაოდენობები, კერძოდ, 2.4 თავში სანიაღვრე წყლების გაანგარიშებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა;
- სკრინინგის განცხადების 2.5.1 თავში და შენიშვნებზე რეაგირების შესახებ ცხრილში (დანართი №4) მითითებულია, რომ №2 საჩამომსხმელო ქარხნის ტერიტორიაზე წარმოიქმნება მაქსიმუმ 440 მ³/დღ ტექნიკური ჩამდინარე წყლები, ხოლო ცხრილ 5-ში მოცემული ინფორმაციის მიხედვით, ტექნიკური ჩამდინარე წყლების მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 400 მ³/დღ-ს. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ობიექტზე წარმოქმნილი ტექნიკური ჩამდინარე წყლების რაოდენობა. ვინაიდან, გამწმენდ ნაგებობაში გათვალისწინებულია როგორც სამეურნეო-ფეკალური (მაქსიმუმ 40 მ³/დღ), ისე ტექნიკური ჩამდინარე წყლების გაწმენდა, ხოლო გამწმენდი ნაგებობის წარმადობა შეადგენს 440 მ³/დღ-ს, 440 მ³/დღ ტექნიკური ჩამდინარე წყლების წარმოქმნის შემთხვევაში, გამწმენდი ნაგებობის წარმადობა (440 მ³/დღ) ვერ უზრუნველყოფს სამეურნეო-ფეკალური და ტექნიკური ჩამდინარე წყლების საერთო რაოდენობის (480 მ³/დღ) გაწმენდას;

- შენიშვნებზე რეაგირების ცხრილში (დანართი №4) მითითებულია, რომ „ქარხნის ტერიტორიაზე ამ ეტაპზე მიმდინარეობს სასაწყობე და საოფისე შენობების მშენებლობა, რისთვისაც გათვალისწინებულია შესაბამისი სანიაღვრე და სამეურნეო-ფეკალური წყლების სისტემის მოწყობა“. აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანია და საჭიროებს განმარტებას. კერძოდ, დასაზუსტებელია დაგეგმილი სანიაღვრე და სამეურნეო-ფეკალური წყლების სისტემის კავშირი სკრინინგის განცხადებაში განხილულ გამწმენდ ნაგებობასთან;
- დოკუმენტის 37-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ გაწმენდის ეფექტურობა მოცემულია ცხრილში 6-ში, თუმცა, აღნიშნულ ცხრილში მოცემულია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები. ამასთან, ცხრილი 2-ში წარმოდგენილი გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული ჩამდინარე წყლების წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატი (X-369116 Y-4636636) არ ემთხვევა სკრინინგის განცხადების სხვა თავებში მითითებულ წყალჩაშვების წერტილებს და წარმოდგენილ shp ფაილებს. გარდა ამისა, დოკუმენტში მითითებული სანიაღვრე სისტემის და გამწმენდი ნაგებობიდან გამოსული წყლის მიმღები ჭის კოორდინატები (X-369062 Y-4636288) არ ემთხვევა shp ფაილებში წარმოდგენილ ჭების განთავსების წერტილებს. შესაბამისად, აღნიშნული ტექნიკური ხარვეზები საჭიროებს კორექტირებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/13014-21-2-202412231635>

